

# ქვეყნის გაბიერება

იუმორისტ.  
საზოგადოებრივი  
ჟურნალი

№ 21



ლადო დარჩიაშვილი

7 მაისს, გერმანიის მოულოდნელად გამოცხადების შემდეგ, ნალისტი ლადო დარჩიაშვილი. სიკვდილსა და უსი-  
ბოვა წუთისოფელს ჩვენში კარგათ ცნობილი ჟურ- ამოგნო ცნობას ძლიერ შეეჩვია, ჩვენი გული და

გონება, მაგრამ ლადო დარჩია შვილის მოულოდნელად დაკარგვამ ბებრ გულში ჩამოჰკრა მწუხარე გლოვის ზარი და აგრძნობინა დიდი დანაკლისის მწვავე გრძნობა.

ლადო დაიბადა 1872 წელს სოფ. ანაგაში. პირველ დაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, საიდანაც გადავიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში. «არა საიქედამ» მოღვაწეობისათვის ლადო სემინარიის მეექვსე კლასიდან დაითხოვეს.

საზოგადო ასპარეზზე ლადო პირველად ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გამოჩნდა. აქ მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1898 წელს ლადო საზღვარ-გარედ გაემგზავრა, სადაც დაჰყო 6 წელიწადი და დაახლოვებით 1904 წლის დამლევს სამშობლოში დაბრუნდა.

1905 წლიდან ის იყო ერთ-ერთი რედაქტორთაგან გაზ. „სხივის“ მემკვიდრე გამოცემებისა. მიუხედავად იმისა, რომ ლადოსა და მის თანამშრომელ ამხანაგთა შორის უთანხმოება დაიბადა, (ნაციონალურ საკითხში) ლადო არ გაქცეულა მოწინააღმდეგეთა ბანაკში და არ ცდილა უთანხმოება თბილისი ადგილის მოსაპოვებელ საშუალებათ გამოყენებითა. ამას იგი ვერ იხამდა, ვინაიდან ლადო დარჩიაშვილი იღვას გამახურებოდა და არა ოქროს. ეს მაგალითი ბებრისთვის არის საგულისხმებელი და მიზანძღის ღირსი.

## თამარის აჩრდილი.

«ვინ არ იცის რომ ეს გული მკვდარია,  
რომ სიცილი ბებრჯელ ცრემლზედ მწარია».

აკაკი.

იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპის ზღვიმდე, დღეს-სასწაულობდა თამარის უკვდავ სახელს, მისი აჩრდილი ელვის სისწრაფით მოჰქროდა სამშობლო ქვეყნისკენ. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი მოუახლოვდა დიდებულ მესხეთს. მიიხედ-მოიხედა, დინახა საშინელი სურათი განადგურებისა; ცუცხლით გადაწვარი ველ-მინდორი, დანგრეული და აოხრებული სახლ-კარი, რუსთაველის სამშობლო გულსკლავე სურათს წარმოადგენდა. აღამი-

ნის ხსენება აღარსად იყო... ირგვლივ დაძრწოდნენ მშვიერი მგლები, რომელნიც მფლობლომდენ უპატრონო მამულებს... აჩრდილს ერთი მწერელი ამოიკვნიდა და თფილისისკენ იბრუნა პირი...

საღამო ესმი ოქტებოდა. თამარის ბრწყინვალე სხივი თავს დაადგა მამა დავათის სწორედ იმ ადგილს, სადაც ილია და აკაკი განისვენებენ. უმცროვ აჩრდილის წინ, თითქო მიწიდან ამოძვროა, ვიღაც უცნობი გამოიქიმა დონიჯით.

— «არ შეიძლება გავიგოთ თქვენი ვინაობა?» — შეეკითხა იგი აჩრდილს.

— «თამარ მეფის აჩრდილი» — გაისმა სავასუხილ იღვასილი ხმა.

— «საკვირველია, ჩალიპარაკა უცნობმა, რაღა სწორედ პირველ მაისობას მოგინდათ საქართველოსკენ გამოგზავრება. ეს დღე ცოტა სახიფათო დღეა. არ შემიძლიან გავიშვათ!»

ის იყო უცნობი თამარის აჩრდილის დაქერას აპირებდა, მაგრამ შეახო თუ არა ხელი, მისკვე შეახმა იგი.

აჩრდილი მთაწმინდიდან დაბლა დაეშვა. გაიგო თუ არა ქართველმა საზოგადოებამ ეს ამბავი, ელვის სისწრაფით შეიკრიბა იგი ერთ დარბაზში და იქონია თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ შეხედნენ ამ მოულოდნელ ამბავს. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კრებამ ერთხმად გადაწყვიტა: აირჩიოს თამარის აჩრდილის დასახვედრად 55 კომისია და 40 კომიტეტი, გამართოს 150 ლექცია, (თითო ლექცია უნდა გავრძიდეს არა ნაკლებ 9 საათისა), მოეწყოს 20 დღის, 25 საღამო და 15 კონცერტი ცოცხალი სურათებით.

მეორე დღეს მთელ ქართველ საზოგადოებას თავა მოეყარა სადღესასწაულოდ ახალ კლუბში, სადაც თამარის აჩრდილიც აყო მიწვეული. საღამოს 9 ს. ფარად აიხადა და სცენაზე გამოჩნდა ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე. გვერდით დაუდგეს მას ორი ჩაფი უბრალო წყალი და ათი ბოთლი ლალიძისა. ფებ-ქვეშ «კავკასიკ-სლოგო» გაუფინეს.

— «ბაბო! — დაიწყო თავისი ლექცია სარგის კაკაბაძემ, — თუმცა ისტორიკოსები ამბობენ, რომ დიდი თამარი სცხოვრობდა მე-12 საუკუნეშიო, მაგრამ ჩემს აზრით ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მე ვამტკიცებ, რომ თამარ-მეფე ჩამომავლობით აფხაზი ქალი იყო და წარსულ ე. ი. მე-19 საუკუნეში

ნის მიწურულებში ცხოვრობდა“. თამარის არჩილი ყურის უგდებდა ახალგაზრდა მეცნიერის სიტყვებს და ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ერთმა დამსწრეთაგანმა შეამჩნია თამარის მოწყენილობა და თვალთი ანიშნა ლექტორს გაეთავებინა ლაპარაკი. ლექტორი მალე სცენიდან გავიდა და აღარ შემოსულა.

რადენიმე წუთის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ცნობილი ლოტბარ მიხეილ კავსაძის გუნდი, ქულაჯებში გამოწყობილი და შემოსახა „თებრონე“ და „ცანგალა გოგონა“. მსმენელები დიდ აღტაცებაში მოვიდნენ, ხოლო თამარის არჩილი ქანდაკებასავით უძრავად იდგა. მალე სცენაზე გამოჩნდა ახალგაზრდა მგოსანთა ლაშქარი და დაიწყო ლექსების კითხვა. წყაითხულ იქნა დაახლოებით 2000 ლექსი. თამარის არჩილმა ვეღარ გაუძლო მათ ჰიეტურ ნიქს და უეცრივ გაჰქრა. საზოგადოება-კი ხახა მშრალი დარჩა..

ლილს 9 საათი იქნებოდა. „ზაკავასკაია რეჟ“-ის რედაქციაში დიდი ფაქა-ფუცი იყო. ბ-ნი „გრუზინი“ სიტყვას აშხალებდა თამარის დასახვედრათ. აგერ გამოჩნდა თამარის არჩილიც. ბ-მა გრუზინმა „გალსტუკი“ გაისწორა და დაიწყო: „Здравствуй пожалуйста Ваше Сиятельство! хотя ми родной языку забили, но, какъ патриоты, ми тэбэ очень лубимъ!“.

თამარის არჩილი სახტად დარჩა. იმის ზეციურ შუბლზე თითქოს აღიბეჭდა შემდეგი სიტყვები: აი შეგი კი დაეცა თქვენისთანა პატრიოტებსაო. სამშობლო ენა დაგვიწყებიათ და ვერც სხვისი შეგი-თვისებიათო. ბ-მა „გრუზინმა“ თითქოს იგრძნო ეს საყვედური და დაღონდა. დაღონდა თამარის არჩილიც. ტყუილად ცდილობდა „საშა ჩორნი“ მის გამზიარულებას. თამარის არჩილმა მათ ყურადღება აღარ მიაქცია და განშორდა.

სხვათა შორის არჩილმა ძველი მეტეხის ციხის ახლო გაიარა. მილოცსა და ადვებანოვს გამოელოთ ციხის ფანჯრები და ზედ მალეები გადმოეკიდათ. ისე საცოდავით დაღრეჯილიყვენ, თითქოს თამარის არჩილს პროტექციას სთხოვენო. შემდეგში გამოირკვა, რომ ზამოდ აღნიშნულნი პირნი პეტრუპავლეს ციხეში გადაყვანას თხოულობდნენ, სადაც ამ ყამად საგარაკოდ დაბინაფებულია ექს-მინისტრი ბ-ნი სუხომლინიოვი. არჩილმა მათ ყურადღება არც კი მიაქცია და ჩაიარა.

თვითმართველობის ახლო ახლო მას ელოდა ქალაქის თავი, ყარაბაულად გამოწყობილი შაქრის თავებით და ფქვილის ტომრებით წელში. დანახა თუ არა თამარის არჩილი, ბ-მა ხარისოვმა დაიწყო. კარვად გალობდა თბლისელი ოქრობირი, მაგრამ თამარის არჩილმა მისი სიტყვისა ვერა გაიგო რა და უგრძნობლად იდგა. სიდიდანაც იყო განნდა ყოვლად სამღვდლო.

პართენ გოთუა და მოწიწებით სთხოვა თამარის არჩილს, დიდუბის ეკლესია დაეთვლიერებია. თქვენ, ბ-ბო, უეჭველია მოგესხენებთ, რომ თამარ მეფემ დიდუბეში იქორწილა. დღის სიამოვნებით დათანხმდა თამარი პართენ გოთუას წინადადებას და გაემგზავრა დიდუბისკენ. ეკლესიაში წირვაზე იდგნენ არჩილი შევიდა. მღვდელმა რუსულად ჩააგუგუნა კვერესი, არჩილი ცდილობდა პირჯვარი გამოესახა, მაგრამ ამაოდ. ხელები მას თითქოს არ ემორჩილებოდნენ. უტებ მარამილოსაებ იდგა იგი და დალონებული შეჰკუერებდა ღვთის მშობლის ხატსა. ჯერ წირვა არ გათავრულთო, რომ თამარის არჩილი გამოვიდა ვაერეთ, უკანასკნელად მიმოავლო თვალეები თბილისის მიდამოებს, ჩააქნია მწარედ ხელი და გაემგზავრა საქართველოს სხვა კუთხეების სანახავად.

ლახტი.

(დასასრული შემდეგ)



# პასაჟირი.

ლერუა.

(თარგმანი)

რკინის გზის კასის ვიწრო ფანჯარას მიადგა ვინმე ორას ფანსურღე, ყოფილი ვაჰარი, წვერი ლამბინისა და K<sup>0</sup> ფირმისა. ის 50 წლისა, საშუალო ტანის და ჩასუქებული კაცია. პირველ ხანს განზრახული ჰქონდა ფანჯრის უკან მჯდომ მოხელისათვის მოკრძალებით ქუდი მოეხადა, მაგრამ შემდეგ გადაფიქრა და ქუდი აღარ მოუხადა.

— მითხარბო, გეთაყვა... მე მსურს ბულონში წასვლა; ცალმა მომწერა ამ დილით წერილი და მეც... ის სტუმრად არის თავის დედისთან და მეც... რომელი მატარებელით აჯობებს ჩემი გამზავრება ხვალ დილით?

— ბულონისაკენ? ფოსტის მატარებელი გადის დილის 6 საათზე; სწრაფი მატარებელი 7 საათსა და 35 წუთზე; სახალხო პირველი 10 საათზე, მეორე 11 საათსა და 45 წუთზე.

— სხვა მატარებლები არ არის?

— დილით აღარა.

— რა დროს ვიქნები ბულონში 10 საათსა და 35 წუთზე რომ გავიდე?

— 10 საათსა და 35 წუთზე მატარებელი არ არის.

— აკი თქვენ ამ წამში მითხარბო.

— სწრაფი მატარებელი გადის 7 საათსა და 35 წუთზე, სამგზავრო კი ათ საათზე.

— მე კი ცხადია გავიგონე, როცა თქვენ მითხარბოთ 10 საათსა და 35 წუთზეო. თუ თქვენ თითონ ირ იცით მატარებელთა მიმოსვლა...

— შეიძლება... მე შევცდი. უმოკლესია იქ კედელზე გაკრულია მოძრაობის წეს-რიგი და თითონ გასინჯეთ.

— თითონ გავსინჯო? რას გავსინჯავ მე იქ! განა მე რკინის გზის მოხელე ვარ, რომ რამე გაუგო იმ ათას გვარ ციფრებსა და წაღმა-უკუღმა დასერილ ხაზებს! მეტყვიით თუ არა დაბოლოს, როდის ვიქნები ბულონში თუ აქედან გავალ... როდის გადისო? როგორ მითხარბო წელან?

— 7 საათსა და 35 წუთზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ ადრეა, მაგრამ რას

იზამ, თუ სხვაფრთხი არ შეიძლება, ამ დროს წავალ. რა დროს ვიქნები ბულონში?

— 12 საათსა და 15 წუთზე.

12 საათსა და 15 წუთზე... ჩინებულია. ახლა კეთილ ინებეთ და მიბრძანეთ: — მე თან მიმყავს ჩემი მსახური ქალი... არის ამ მატარებელზე მესამე კლასის ვაგონები? მე რასაკვირველია მეორე კლასის წავალ, მაგრამ მსახური...

— არა, ბატონო, ეს სწრაფი მატარებელია, მარტო პირველი და მეორე კლასის ვაგონები დიდის.

— სულ ადვილია შეიძლება ერთი მესამე კლასის ვაგონის გამოძახაც. მე მესმის, რომ ვისაც ამისი საშუალება არა აქვს, აუც უნდა მიადგეს სწრაფ მატარებელს, მაგრამ არის განსაკუთრებული მდგომარეობაც, როგორც მაგალითად ჩემი გარემოება.

— მოწყალეო ხელმწიფეც, მე...

— მოითმინეთ, მოითმინეთ. ნება მიბოძეთ ერთი შეკითხვა კიდევ მოგახსენოთ, მე ხომ ვიხდი ბილეთის ფასს?

— რასაკვირველია, მაგრამ... მე...

— მაშე ვერცა საქმე? ღირბო-ლატაკი, რომელსაც მარტო მესამე კლასის ბილეთი შეუძლია იყიდოს, უნდა კუს ნაბიჯით ეთრიოს იმ მატარებელში? სწორეთ სასიამოვნო წყებია, რაღა ღაპარაკი უნდა.

— ღმერთო ჩემო, ეს ვერცა, მაგრამ მე რა შევაში ვარ!

— ოო, ეგ მე მესმის! თქვენ არც გაკისრებთ პასუხის მეგობრობას: თქვენ თითონ იჩაგრებით და არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით ამ უწყურბრო გობაში. თქვენ თითონ დამოკიდებული ხართ სხვათაგან და კიდევაც რომ მოასურვოთ ვერაფერს გააწყობთ. მე კი, ბატონო ჩემო, სრულიად დამოუკიდებელი გვხლავარ და ფეხებზე შეიძლება მთელი ქვეყანა; გვხლავი, მთელი ქვეყანა. ეს პირდაპირ საზიზღრობაა, პირდაპირ საძაგლობა. სისულელეც არის მე და ჩემმა ღმერთმა. მესამე კლასი არ უნდა დადიოდეს ისეთი სისწრაფითა, როგორითაც პირველი და თუ მესამე კლასთან პირველიც მოხვდა მატარებელში, მაშინ პირველიც მესამესავით ჩოჩით უნდა წავიდეს. ხომ არ ინებებთ ამ გაუგებრობის განმარტებას, მოწყალეო ხელმწიფე?

— მე აქ იმისთვის არ ვახლავარ, რომ ამგვარი განმარტებები გაძლიოთ.

— კი მაგრამ თქვენ ამისთვის ფულები გეძლევათ. ჩინებულია სწორე! მეტყვით თუ არა როდის გადის მატარებელი მესამე კლასითურთ?

— აუ საათზე.

— რა დროს მიდის იქ?

— 5 საათსა და ათ წუთზე.

— როდის?

— 5 საათსა და ათ წუთზე.

— კარგი, კარგი. მე ყრუ როდი ვარ. მაშ იქ ვიქნები 10 საათსა და ხუთ წუთზე. ხომ ასე ამბობთ?

— არა, 5 საათსა და 10 წუთზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ გვან არის. სადილი რომ მომიხდეს ბულონში? ცოლიც მიმელის იქ. ეს მართლაც მოუხერხებელია. მაშ რა უნდა ვქნა... განა არ არის მატარებელი, რომელიც უფრო ადრე მივა ბულონში?

— არის. საფოსტო მატარებელი. მესამე კლასის ვაგონით. გადის აქედან დილის 6 საათზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ ადრეა. ჩემთვის უფრო მოხერხებული იქნებოდა რვა საათის მატარებელი.

— თუ ასეა წაბრძანდით სწრაფი მატარებლით დილის 7 საათსა და 35 წუთზე.

— მართალი უნდა გითხრათ, სწორეთ გასაოცარი რკინის გზის აღმინსტრაცია გყავს. მინდა თუ არა მე უნდა ვიმგზავრო იმ მატარებლით, რომელსაც ის მინიშნავს, ან არა და უარი ვსთქვა ჩემს ოჯახში ტკბილათ სადილის მიერთებებზე. ცხადია, თუ სწრაფი მატარებელი არ წავალ, ბულონში სადილს ვერ მიუსწრებ. ეს პირდაპირ აუტანელია! რა ღირს მეორე კლასის ბილეთი?

— 31 ფრანკი და 25 სანტიმი.

— მესამე კლასის?

— 17 ფრანკი და 20 სანტიმი.

— სხვა მატარებელი არ არის?

— რასაკვირველია არის. ნაშუადღევს 1 საათსა და 40 წუთზე, 4 საათზე; 6 საათსა და 10 წუთზე. საღამოს 8 საათზე; 11 საათსა და 45 წუთზე.

— მართლა? მაშ რატომ წყლან არ მითხარით?

— თქვენ ხომ დილის მატარებლები იკითხეთ.

— დილის, შუადღის, საღამოს მატარებელი, ეს ჩემთვის სულ ერთია. როგორმე კი მივალწიო და რომელ საათზე...

— მოწყალეო ხელმწიფე, იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ დაადგეთ ერთი განსწავლული მანქანა. ხომ ხელდათ სხვებიც ელოდებიან...

— მეც იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ჩემთან მეტი ზრილობა იხმაროთ. თქვენ აქ იმისთვის დგხართ, რომ მსურველს განმარტება აძლიოთ. ნუ თუ თქვენა ვგონიათ, რომ ჩემთვის დიდს სიამოვნებას შეადგენს საათობით თქვენთან საუბარი?

— ბატონო ჩემო, განმეორებით გთხოვოთ...

— აჰა! მაშ ეგრეა საქმე?.. კარგი, კარგი, მოწყალეო ხელმწიფე, მე აღნიშნავ საჩივრის წიგნში თქვენს... მე... დიხ, ეს ურიგო არ იქნებოდა! იცით კი ვის ელაპარაკებით? ჩემი სახელია ორასა, მოწყალეო ხელმწიფე; ორას ფანსურლე, მე უდიდესი სავაჭრო სახლის გამგე ვიყავი და თუ ჩემი მსახური მუიღველთან ასეთ უდიერ ლაპარაკს გაპბედედა...

**კასირი** (მიმართავს ქალს, რომელიც ორასს უკან სდგას) თქვენ რას ინიებთ, ქალბატონო?

**ორასი.** მაშ თქვენ არა გასურთ პასუხი გამკეთ; ბატონო კასირო?

**ქალი.** (მიმართავს) მე მიბოძეთ... (მიმართავს ორასს) ნება მიბოძეთ ცოტა წინ წავიწიო, მოწყალეო ხელმწიფე.

**არასი.** ამაო შეეღლებათ, ქალბატონო! ეს ვაბატონი პასუხს არ აძლევს ზრილობიან კითხვებზე. მთელი საათია ველაპარაკები და ერთი სიტყვაც ვერ გამოვსტყუე.

**კასირი.** გთხოვთ უმორჩილესად, ქალბატონს გზა მისცეთ.

**ორას.** მაშ რა მოხელე ხართ აქ, თუ საქმის არაფერი გაგვგებათ?

**ქალი.** გთხოვთ ნება გვიბოძოთ...

**ორას.** ჯამაგირის მიღებაზე ეს ვაბატონები ყოჩაღები არიან. ფრჩხილების წმენდა, გახეთების კირკიტა, ესეც მთიი საქმეა, ხოლო რაიმე ცნობის მიღებას მათგან ტყვილად ნუ ელით.

**კასირი.** მოწყალეო ხელმწიფე!!!

**ორას.** რაო? შეურაცხყოფასაც მიყენებთ? ნუ უკაცრავთ, თუ ამის ნება არ მოგცეთ... მე...

**კასირი** კეტავს პატარა ფანჯარას.

**ორას** (მიმართავს ქალბატონს) ერთი შეხედეთ ამით თავაზიანობას! ოოო, ეს რკინის გზის მოხედლები! მთელი საათია, სრული საათია, ესცილიობ

გამოგატყუო ამ ვაჭბატონს, რომელიც აი აქ, ამ ფანჯარასთან ზის, ცნობა, თუ როდის მიდის მატარებელი ბულონში; თქვენ იქნება ფიქრობთ, რომ მადირსა მან რაიმე პასუხი? სრულიდაც არა. ის მხოლოდ მასულელებს ამდენი ხანია, ეს მუქთა ხორა და უსაქმური ვაჭბატონი. მე წაადეს ბულონში, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეს ეს... ეს.. ეს „ვაჭბატონი“ და საჩივრსაც მისი უღირის საქმის შესახებ უთუოდ აღვსძრავ.

ამ ბუზღუნით და მუქარით მოშორდა ორასი დახურულ ფანჯარას ბილეთის კისისას.

მიეფარა თუ არა თვალიდან ორასი, კასირმა კვლავ გააღო ფანჯადა და განაგრძო თავისი საქმე. მხოლოდ ხანდისხან მიმოავლდება დარბაზს შეშინებულ თვალსა: ხომ არსად მოსჩანს ორას ფანსურლოც.

წურბელა.

3 ა!!!

ქვეყანა სულ უკუღმა ტრიალებს უფლის სახს მადლო! განა ამას ვიფიქრებდი, რომ ფრანკუციტი ესეთ ვაქცილობს გამაიჩინდეს! გამიგონია, რომ იმდებო და კავალრობა იმათი მოგონილიაო, მაგრამ თუ ასე ყარაოლულათ ჩაეროვდენ ჩხუბში, ეს კი არ შეგონა! ჰხედამ იმ ვერდენთან, როგორ სუმაშეი მოზურებივით დატრიალდენ! ვაა, მთელი ქვეყანა უდიდენიაში ჩაავდეს რაღა!

მართალია ამომენ: ლემენტებმა რაღაც გორაკების კალთები ჩააბაგლიჯესო, მაგრამ არა მგონია! თუნდაც რომ ჩააბაგლიჯონ, რა ვუყოთ მერე. საქმე ის არის სავემ რომ ჩაივდონ ხელში, თორემ ერთი მტკაველა მიწა გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ. ჩემ დედაცაც, ბარიშნობისას რომ ვეარშიყებოდი, ჭიდაობაში და ბლადამუნში რამდენჯერ შემოვახიე კაბის კული, მაგრამ სანამ სავემთ არ დამაბნო და არ დამხრუკა კაცი, მანამ არა გამოდნა რა. მერე კი ვივად ხელში, მაგრამ რაღა დროს! ეს მე კი დამბრაკა ეპრონიქზე, თუ რამე ქონი მქონდა აშართვა და მერე როცა არშიყობის შნო და ლაზათი დამეკარგა, მაშინ ჩამივარდა ხელში.

ამ ლემენტებსაც ტოქი-ტოქი ასე მოსდით რაღა! შაიძლება კიდევაც აღონ ის ვერდენი, მაგ-

რამ როცა ჩემსავით დადენიან და ცხვირის დაცემინების შნო აღარ ექნებოთ, რაღა უნდა! მაღალდევ ფრანკუციტებო, ვინ ჩაგატყუოთ რამაში რომ ვკითხულოვ იმათ ამბავს, ჩვენი ქალაქის ბიჭები მაგონდება რაღა, ისე უღვევიტლნათ ჩხუბობენ! მადლობა ლმერთს, რომ ისინი მაინც მოდიან იმ ლემენტების ოხტში, თორემ ლაშის არის ვადა-გველაპანი რაღა! ხან და ხან ისეთ ჯავრზე მოვდივარ, რომ გვივდები, ქრისტეს მადლმა. განა რა გახდა კაცო, ეს ლემენტები!

იმ დღეს, ვდგვევარ და ვფიქრობ: ერთი იმ ვაინში მენა, რომ იმ ტოლსტოპუზა ლემენტებს კისრის ძარღვების ვისპალენია გაუჩინო მეთქი. ფიქრმა ისე გაამიტაცა, რომ თითქოს ვაინშიცა ვარ და ნაურაზე მივდივარ. თვალღმის ვაბრაილემ და ეს-ეს არის უნდა გადავერო ჩხუბში მისის ბულსავით, რომ ამ დროს რაღაცა გამეხახუნა. ვიფიქრე ნამდვილათ ლემენტი დამეტაკა მეთქი, და ვსტაცე ქეროში ხელი. ავიღე და ისეთნაირად დავანარცხე მიწაზედ, რომ თერთმეტი ნეგის ძვალი შამბივით გადაუმტვრიე. ყვირის: „მიშველეთ, მიშველეთ, მოკვეცი აღმიანო“. უცევ გამოვფხიზლდი ამ ყვიროლზე და ერთი ვნახობი, ჩემ შუშანიკას აუღმეკია ფეხი და ღრიალებს. ვიფიქრე ნამდვილათ მუცელი სტკივა მეთქი და მაშენტალნათ აკუსეკა მოვარბენინე. აკუსეკამ გადააბრუნვალმაობრუნა ასტაროენათ, უსჯა ხელი ზევით, ქვევით, მაგრამ ვერა ვაივო რა! როდის როდის შუშანიკამ ძლივს ამაილულულა:

— „შე უღმერთოვ, გვერდები დამამტვრიე და აკუსეკა რას მიშველისო“. ვა! ვიბლაღე დასაკლოვი ხაროვით, მაგრამ რაღას უშველიდი. თურმე იმ დუმიტში რომ ვიყავ და ვიდაც გამეხახუნა, ჩემი შუშანიკა გამარშიყებია და მეკი კოშტი მარილივით დავნაყე ის საწყალი ი, დობტურები, აი გლავნი ხირტურები და ძლივს გადავარჩინე სიკვდილს უბედური შუშანი. დღესაც სულ წამლებს და კაპლებს პარში იხარზება საწყალი. ეს სულ იმ ლემენტებმა მიყვეს, მაგრამ ირც იმათ შარჩებათ. მაშ ბემუზარი ვიყო, თუ ჩემი ოინისთვის პადალიაში პასუხი არ გავსცე, დამაკლონ!..


გოგია.



ბოლდე, წესრიგისათვის ვითხოვ ორიოდ წუთს ყუ-  
რადღებისას.

ბატონებო! ქართული ანდაზა მქვერ მეტყვე-  
ლურად ამბობს: „გაქვივრებამ დედოფალთან დამა-  
წვინაო“ და ვინც ამ ანდაზის შინაარსს ღირსეუ-  
ლად ჩასწვდება, ის უმეტესად ჩემს მდგომარეო-  
შიაც შევი. საქმე ჩემს საბედისწერო მხატვრობას  
შეეხება. მას შემდეგ, რაც „ქართველ ხელოვანთა  
საზოგადოება“ დაასრდა პატრიცეზულ ფინანსისტ  
გ. ქურულის თავმჯდომარეობით, მე გასკვეტბუ-  
ლი ენერგიით ვცდილობ ღირსეული წევრი შევიქ-  
ნე ამ საზოგადოებისა. მოგეხსენებათ ისიც, რომ  
საზოგადოება სულ რაღაც ორიოდ თვეა რაც არ-  
სებობს და თუ შეიღარბთ თქვენ ჩემს გასული  
წლის მხატვრობას (წ. კ. გ. ს. კრებები) ამ წე-  
რილში ღართულ სურათებთან, დარწმუნებული  
ვარ წინ მსვლელობისა და შრომის კვალს შენიშ-  
ნავთ. მიუხედავად ამისა, მე სრულიადაც არ მაკმა-  
ყოფილებს ჩემ მიერ დაწერილი სახეები და ვით-  
ხოვ მათგან შეცოდებათა პატიებას და თანაგრძნო-  
ბას. სასჯელათ ისიც შეყოფა, რაც მათზე მწარე  
ოფლი დავღვარე და ნუ ინებებენ ოფლს მწუხა-  
რების ცრემლიც დავუმატო.

დამუშენებული კრების სხდომები დეკემბრის  
14 მაისს დილის 11 საათზე. კრებამ ერთხმად აირ-  
ჩია თავმჯდომარეთ წარმომადგენელი „თფილისის  
კოოპერატივისა“ ნიკო ზ. ელიავა.



ნიკო ზ. ელიავა.

შემცდარი იქნება, ვინც იფიქრებს, თითქო  
აქ გამოხატული სურათი ბ. ნ. ელიავისი სრული  
გამომხატველი იყოს ორიგინალისა. საქმე იმაშია,

რომ, ჩვენი სურათი იხატება „შავი ტუშით, იბეჭ-  
დება შავი საღებავით, როცა მატყუარაგეს აქვს წაბ-  
ლისფერი წვერი და დაბლა „დამკვეთი“ უღავში.  
გარდა ამისა სურათზე ძნელი ვადმოსატანია ბოხი  
ხმა ორატორისა და მისი აუღელვებელი ხასიათი.

თავმჯდომარესთან ერთად დასახელებულ  
ამორჩეულ იქმნენ მისი თანამემწენი: მარჯვენა  
მხრით ბ-ნი პ. გელეიშვილი და მარცხნივ ბ-ნი  
მხჩიანცი.



პ. გელეიშვილი.

აშკარაა, ეგ ის პ. გელეიშვილი უნდა იყოს,  
რომლის შესახებაც ძლიერ უყვარს პატრიცეზულ  
„სახალხო ფურცელს“ სადესერტო ცნობების მი-  
წოდება მკითხველებისათვის. როგორც ავტორიტე-  
ტებმა მითხრეს მისი გამოცნობა ამ სურათის შემ-  
წეობით შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში,  
სახელდობრ, თუ ეწვერება ქვეშ „პ. გელეიშვილი“.  
შეიძლება ეს მართლაც ისე; მკითხველებმა გან-  
საჯონ.



ბ-ნი მხჩიანცი.



მე პირველად ვიხილე პატივცემული ამხანაგი თავმჯდომარისა ამ კრებაზე. ვფიქრობ სურათი უნდა გამოხატავდეს ორიგინალს, დაახლოვებით მიანც. ბ-ნი მხიანი ჩინებული მკლდნე უნდა იყოს სომხური ენისა, ვინაიდან ძლიერ ჩქარა და ლამაზათ ლაპარაკობდა. გარეგნული მოხაზულობა ნათელ ყოფს მის აუღელვებელ ხასიათს, რაიც ეგზომ საჭიროა ისეთ კრებებზე, რომელსაც დათქოა ხართიშვილი ესწრება.

მდივნებათ არჩეულ იქმნა 4 კაცი, რომელთაგან ერთი, სამწუხაროდ ჩვენდა გამომრჩა, ვინაიდან იმ კრებას, რომელზედაც აღფრთოვანებულის გრძნობით მივედი, ის არ დასწრებია. დანარჩენ სამს აქვე წარმოვადგენ.



გ. ურატაძე.

ბ-ნი გ. ურატაძე მხატვარისათვის ერთობ ძნელი ხელმოსაყიდი ტიპია და ვშიშობ სინამდვილისგან ძლიერ შორს არ ვიყო.



შ. ქარუმიძე.

ბ-ნი შალვა ქარუმიძე საქართველოში უკვე ცნობილი მთღვაწეა, თუ სიტყვა საქართველოს წინა და უკან ეგრედ წოდებულ „ბრკელებებს“ გაუკეთებთ. დაბალი, ჯმუხი, კურატი კაცია, საუცხოვო ხმისა და შესტიკულობის პატრონი. მიუხედავად მისი თხოვნისა: „ჩრკლად შევებოდი მის პიროვნებას“, ჩვენ იძულებული ვართ მარტო ამ მოკლე ცნობებით დავკმაყოფილდეთ. სურათის შესახებ აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მსგავსება


ძლიერ შორეულია, ვინაიდან წითელი ლოყები, მისი განმასხვავებელი ნიშანი, მანამდე არაა მხელი გადმოსაცემია.



ს. დადიანი.


ვისაც გაზეთი „წვირთი“ უკითხავს, ან „სახალხო ფურცელი“ უთვალთვლებია, ის ალბათ ხშირად მოჰკრავდა თვალს ამგვარ წარწერას: „ს. დადიანი“. ბ-ნი სამსონ დადიანი ჩვენს „ეროვნულ სოციალისტთა“ შორის, თვედორე ფლონტის შემდეგ, უცილობლად პირველი კაცია. ამ პატარა სურათზედაც აშკარათ ეტყობა მის სახეს ენერგიული, დაუღალავი მუშაკის ბეჭედი. ის, თუ არა ვცდებით, უკვე რვაჯერ იქმნა გაშავებულნი ამ გაზაფხულზე, ხოლო დღეს კიდევ ერთხელ მოისურვა გაშავება, რაიც სიამოვნებით აუსრულეს.

კრებას მოხსენება გაუკეთა საორგანიზაციო კომისიის წევრმა. ამ მოხსენებიდან ამოვიღეთ ჩვენ შემთავრესი მარტივი იმ ლექციისა, რომელიც წერილს წინ წავუბმდვართ.



კოწია კანდუღაკი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ კ. კანდელაკის სუ-  
რათის შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც პატივ-  
ცემულ თავმჯდომარეზე მოგახსენეთ. ცნობილი  
კოლპერატორი ცოტა წაბლისფერ თმით არის შე-  
მოსილი და შავი საღებავი ნაკლებ უდგება. კრე-  
ბას წარუდგინა და მიაღებია, თუ არა ვსცდებით,  
სამოციოდ რეზოლიუცია.



მ. ბანიშვილი, გ. ჟაბიკაიძე.

წარმოდგენილი აქვთ მოსკოვში. ამ სიტყვებმა კი-  
ნალამ ცრემლი მომგვარა თვალბზე და თუ საჯა-  
როთ არ ავტირდი მიზეზი სირცხვილი იყო. (არ  
ვიტყვი მხოლოდ ვის მაგიერ შემრცხვა).




ბ.ნი როზლინი.

მუნიციპალურ წრეებში კარგათ ცნობილი  
ბ.ნი როზლინი, ჩვენს სურათზე დახლოვებით არის  
წარმოდგენილი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს  
მსოლოდ ნედლი მასალაა, ჭეშმარიტი მოხაზულო-  
ბის დასასურათებლათ, რასაც ვეცდებით მომავ-  
ლისათვის.

დამფ. კრების ვახსნას დაესწრო არა ერთი და  
ორი წარმომადგენელი, რომელთაგან ჩვენ ყურად-  
ღებუა მივაქციეთ, რასაკვირველია უცხო მხრიდან  
მოსული. თუ ჩემს მხატვრულ სავარგისობას ბო-  
ლიში მოეთხოვება ადგილობრივ წევრთაგან, მით  
უმეტეს უნდა ვიშუამდგომლო თანაგრძობა და  
შეცოდებათა პატიება გარემოთაგან.

წარმომადგენელი მოსკოვის მომხმარებელ სა-  
ზოგადოებათა კავშირისა, ფრიად ახალგაზრდა (თუ  
ქოსა არა) ენერგიული კაცი სჩანს. ის განცვიფრებულ  
აღტაცებული დარჩა, როცა დინახა, რომ ჩვენ  
ქვეყანაში არც ისეთი უღაბნო ყოფილა, როგორაც



ბ.ნი რ.წიფ. რენივი.

მოსკოვის საერო ბანკის წარმომადგენელი ბ.ნი  
რ. ფ. რენივიცი დიდი აღტაცებით შეეგება კავ-  
შირის მოვლინებას და აღუთქვა დახმარება, რამ-  
დენათაც ეს მოსახერხებელი იქნება. ჩვენს სურათ-  
ზე ბ.ნი რენივიცი იმ დროს არის გადაღებული,  
როცა კრება თვითმართველობის აყრალტებულ ეზო-  
ში სურათის გადასაღებათ შეერეცა.


მოხსენება ერთობ ვამიჟიანჯორდა, მაგრამ არ  
შემიძლია რამოდენიმე ორატორს არ შევეხო და  
მათი დალოცვებითი სურათი საზოგადოებას დაეუ-

მალე. პირველ ყოვლისა თქვენი ჩუროდლება მსურს მივაპროცნობილ კოპო. მოღვეწესა და მწერალს ბ-ნ იასონ გაბილიას.




კოპერატორი იასონ გაბილიას.

ახალგაზრდა, უკვე დამსახურებულ მუშაკს, ჯერაც ენერგიისა და საქმიანობის უტყუარი ნიშნები ეტყობა. მისი სახეც სწორედ ამგვარი დასკვნის სარკვეა. ზეპირათ იცის ყველა კოოპერატიული კრებების რეზოლიუციები და ავრთვე ყოველი წერილი მის მიერ ოდენმე შესახებ კოოპერაციისა დაწერილი.



კარბელაშვილი.

ცნობილი აგრონომ-კოოპერატორი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი კარბელაშვილი სამურ გავლენას ახდენს მსმენელზე, თუ იგი ძილის ზასიათზეა. საზოგადოთ ეტყობა ამ საქმის სიყვარული.



ბ-ნი ს. პოლოძისა.

ორატორი ბ-ნი ბოლქვაძე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რამდენადაც მას ოდნავ პირდაღებული უსმენდა. დასწრე მსმენელი არ შეეშთხვა, ეს სახეებით ბუზების არ ყოლას უნდა მიეწეროს. საზოგადოთ უაზრო სიტყვების სიძუნწეს მას ვერა შემთხვევაში ვერ შევსწამებთ. სამწუხაროთ ყური ბ-ნ ბოლქვაძეს უაღაგო ალაგას და ურჩა გაკეთებული, თუმცა ამის მნიშვნელობა არა აქვს.



ბ-ნი ძიძიგური.

ს. მათხოჯი, ერთობ ბედნიერ სოფლად შეიძლება ჩაითვალოს. მისი წარმომადგენელი ბ-ნი ძიძიგური ერთობ უმანკო კაცი უნდა იჩოს. ეს სახეზედაც ეტყობა მას, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთვის ეს ღირსება მისი გამაოშკარავდა საკანდიდატო სიის წაკითხვის დროს. მან სამი კაცის სახელგვარი ამოკითხა და მხოლოდ ექვსი შეცდომა დაუშო: როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა მისი კანდიდატი „ლლონტის“ სახელს, ბ-ნი ძიძიგური საშინლოდ გაწითლა და უმანკო გაუბედაობით წარმოსთქვა ცნობილი სახელი „თედორე“. მე დიდი მომხბრე ვარ დისკონალინი, ბ-ნი ძიძიგურიც მოვალე იყო აღნიშნული სახელი და გვარი წარმოეთქვა, რაგინდ სასირცხოცო არ ყოფილიყო.

სჩანს ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა

ქართველი საზღველოება, მამა იაკობაშვილი ამისი უტყუარი ფაქტია. კრებაზე, დასწრეს არ შეეძლო მისთვის ყურადღება არ მიექცია და მეც სწორეთ ამ მხრივ ვათავსებ მის სურათს, რომელიც ძლიერ შორეულ მსგავსებას წარმოადგენს. რემს დროს ორჯერ ილაპარაკა და ორივეჯერ მფიქრებია:—ნეტავი მუნჯი იყოს მეთქი— უკვებ არ მომაგონდა, რომ მუნჯ


თარგმანი  
საქართველო  
საზოგადოებრივი



მთ. ავახაშვილი.

მღვდელს შტატს არაეინ მისცემს და ჩემი ნატვრით მე მისთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა.

ორატორთა სიის დამთავრების შემდეგ ჩვენ მოვიხსენიებთ ორ მუშაკს, რომელთაც კრებაზე არ ულაპარაკია, მაგრამ მანაც არჩეულ იქმნენ.



დავით ქავთაძე.

„ალორძინების“ გამგეობა ვახვლაძე, ავტორიტეტების ახრით ამ სურათზე ცოტა მომღიშარი გამოემეტყველებით არის აღბეჭდილი. ის არჩეულ იქმნა ჩვეურობის ერთ-ერთ გამგეთ.



სიმონ ცხომედიე.

მე რომ არ გავაგრძელო ლაპარაკი, თვით სურათი პატრიცემული ს. ცხომელიძისა აშკარათ მოწმობს, თუ რავად ენერგიულ ცოცხალ ინდივიდთან გვაქვს საქმე. თითონ ორიგინალმა პროტესტი განაცხადა ამ სურათზე მხოლოდ კისრის სიგრძის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამოკლება ვერ მოვახერხეთ.

დასაწყისში ბოღში ზოგიხანც იმათ წინაშე, ვისი სურათიც იხატება. ახლა ნება მიბოძეთ ვიბოღიშო იმათ წინაშე, ვისი ვადაღება მე ვერ მოვასწარი. ამით რასაკვერელია არა მსურს მათი ლირსების დამცირება და საზოგადო საქმისადმი გულგრილობის მიკუთვნება. იმედია მპატიებენ.

ეშმაკი.

### მესტერიული

ვარგა ხანია სტვირისთვის ხელი არ მამიკილია. ვაი თუ ჩრჩილმა შესჭამოს, გულა კუთხეში ჰკილია. სტვირი ავღია საცალა ზედ ჯაჭვებ დანაკილი შევეკონო ერთად გავმართო თურცა საშროში დილია. ვაგებერო, დავაზუზუნო, არ ვარგა ზოგჯერ რილია, თორემ გამარადღენ, რომელთაც ნამუსი გაუყილია.

მიუღიღინებ იქ, საცა შაქარი გასაყილია,

ენახო რასა იქმს გამყიდი,  
ის მათრახ ასაკილია,  
მოჩა, თუ არა თამაში:  
ბავშური ძერა-ლილია \*)  
ვგონებ უდროით ჩატყდებო  
ეს უთავ-ბოლო ხილია.

წაველ პუშკინის ქუჩისკენ  
ჩემი სტვირით და გუდითა,  
ჩავდექ საშაქროს კარგში  
უჩინ-შაჩინის ქუდითა.

კარი ჯერ ღაკვილია,  
ხომ ვერ გააღებ სუდითა  
მყიდველნი მწყობრად ელიან,  
მათრახი მაწმობს კუდითა.

ძველ სამღვდლო შკოლის თავიდან  
ბაზრისა ბოლოს სწვდებიან,  
შაქრით სავაქროს კარების  
გაღებებს ემუქრებიან.

ბევრი ლოღინით ზოგ-ზოგნი  
თითქმის მუხლებში სწვდებიან,  
სუხტნი და მოხუცებულნი  
იქვე მიწაზედ სხდებიან.

ავერ, გაილა კარები,  
უცებ დასძახეს: — შედიო!  
მაგრამ შიგნიდან ყვირიან;  
— დაიცუთ „ოჩერედო“.  
ვისმინე, ვიდაც ტირილით  
ჰგოდებდა: ვაჰმე დედო,  
ჯიბიდან ფული მომპარეს,  
დასწყველოს ჩემი ბედო.

ეს აქა სტორის და სხვები  
შაქრისა ყიდვას სცილობენ,  
„ოჩერედს“ აღარ აცილიან  
ერთი-მეორეს სცილობენ.  
აქ ჯიბგირების რთველია  
ხალხის ჯიბებეს ხილობენ,  
მცხოვრებთა ამა ტანჯვისთვის  
მამათა ჯავრთა ყრილობენ.

ესრე ჰყიდიან უპრავის  
შაქარს, ამ რიგით, წესითა...  
ასს თუ მისცემენ, სამასს სხვას  
ალოღინებენ კენესითა...  
დილით დაქანცულს, საღამოს  
გტანჯავენ უარესითა,

მაშე მიმართავ, მკითხველო,  
რომ ვერ იზოგნი ვერსითა,  
მივივრს, ეშმაკი რათა სდუმს,  
რათ არ მოჩედავს ამ ხალხსა,  
რათ არ მოახმარს ღირსეულთ  
კურობეულ დაწულ მათრახსა,  
რათ არ მოაჰკითხავს მის გამგეს  
შეუბრალებელ ახმახსა\*)  
მათრახით რათ არ უსწორებს  
მოშლილი ტყინის ჩახახსა.

ა. ყარაჩოხალი.

## მოხსენება ხონიდან.

V

— ნუ თუ ეგ შენა ხარ, ამო?! გაკვირვებულ  
ლი შემეკითხა ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა  
შავგრემანი ქალი და მომაკტერდა.

— „რას მისტერი აგრე გაკვირვებითა?“ კითხვითვე ვუპასუბე კითხვან და თვალნი ჩემნი გავუყარე თვალთა მისთა.

— მე კი შენ ახლა მეგონე ხონის საურთიერთო  
ნდობის საზოგადოების წლიურ კრებაზე. როგორ მოგვიდა, რომ ასეთი საინტერესო  
კრება გამოგიტოვებია? შე ვფიქრობ მისი უეშმაკე-  
უღესობა არ მოგიწონებს ასეთ დაუდევრობას.

— ნუ თუ დღეს არის ეგ კრება?.. ეშმაკო  
ჩემო!.. როგორ გამომპარვია!.. შეწუხებული ამო-  
ვიკენეს და, საჩქაროთ დავემშვიდობე რა ჩემს  
მოსაუბრე კოპწია გოგონას, გავსწიე საზოგადოების  
სასახლისაკენ. ფრთხილად შევალე კარები და შე-  
უშინველათ შევეცოკდი.

— გუშუშუ... გუშუშუ... ევეთა სმენასა ჩემ-  
სა შესვლისთანვე. მიმოვიხედე, გადავიხედე. დარ-  
ბაისლობით აღსავე კრებას თივეჯლომართ დაუს-  
ვიმს ბახტაძე ანდრო, მის გვერდით იაკობია მდიუ-  
ნათ ჯღომილი; იქვე არიან მმართველი ბანკის,  
დირექტორი მოლარე და ბუღალტერიც. კრება  
გრძელდება.

თავმჯდომარე წამოადგა, მიმოიხედა.

\*) ახმანი თათრული სიტყვაა და აღნიშნავს ისეთ  
ღირსებას აღნიშნისას, როცა ეს უკანასკნელი გუგუხათან  
მტრულ განწყობილებასშია.

\*) ძერა-ლილია, ერთგვარი საბავშვო თამაშობაა.

— ბატონებო!.. ფრიად საყურადღებო მოხსენება; ცოტა ხნით შეესწავითოთ კრება, მოვისვენოთ ამდენი ხნის მიძიმე ბუბოზიგან და შემდეგ განვახლოთ სხდომა ამა მოხსენების მოსასმენათ...

— არა, არ გვინდა... ახლავ მოვისმინოთ... სულაც ნუ მოვისმენთ... კი გვინდა... არ გვინდა... ისმის ზუსტნი ყოველ მხრიდან.

— მაშ ახლავ მოვისმინოთ, შეუღვენებლათ, ისევ მიმართავს თავმჯდომარე კრებას.

— მოვისმინოთ, მოვისმინოთ!..

წინ დამოდგება ემელიანე, მოხსენება და ბლომით საბუთების ქაღალდები თანა. აქვს.

— ბატონებო! ჩვენ, ე. ი. სარევიზიო კომისიას წინადადლება საზოგადო კრებამ დაგვაყვალა შეგვემოწმებია ანხანაგობის შენობის ხარჯები და ჩვენი დასკვნა მოგვეხსენებია. მაშ მოვალე ბრძანდებით მოგვისმინოთ. ჩვენ შეუდღეით დავაღებულ საქმეს, მაგრამ... ვაი ასეთ საქმის შედგომას!.. საჭირო ქაღალდებსა და საბუთებს ვეღარ ვეღირსეთ. დიდს ვაი ვაგლობით გამოვარკვეით, რომ შენობას მონდომებია 800 ურემი სილა და ქვიშა. არითმეტკული ანგარიში საშუალებით, ვინც ეგ უკანასკნელი კი იცის, დაწმუნდება, რომ ამდენი სილა და ქვიშა გააშენებს 7 და შეიძლება 8 სართულიან სახლს, ჩვენ კი მხოლოდ ორ სართულიანი აგვიშენეს. ჩვენი აზრით საჭიროა მოვიწვიოთ სპეციალისტი ინჟინერი და მის შევამოწმებით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ერთი წევრი სამშენებლო კომისიისა იმავე დროს იყო „პოდრიადნიკიკ“ სილა-ქვიშისა. მ-ნი ემელიანე მტკიცე კოლოთი ვანაგრძობდა თავის მოხსენებას და მოყავდა მოსაზრებანი კომისიისა.

როს გაათავა, ატყდა ჩოჩქოლი. პასუხს იძლევა მმართველი ბანკისა.

— აქა მაქვს საბუთები... რა საჭიროა ინჟინერი... თუ გნებავთ მოვიწვიოთ, მხოლოდ ხარჯათ უნდება 363 მანეთი.

— არ გვინდა, არა!.. არა... არა!..

— ბატონებო, სიტყვა მე მეკუთვნის, — გუბუნებს ნიკიფორ ჩხეკელი: ჩვენ ვერ ვავიგებთ, ე. ი. ვერ ვიანგარიშებთ, რომ დეიხარჯა, რა დეიხარჯა; შენობა აშენდა, ჩემგანაც წაიღეს ხე-ტყის მასალი, იქ ზღმომოწერილია... ჩვენ არ გვინდა არაფერი მოხსენება, ვენდობით სამშენებლო კომისიას, მან ააშენა, ახლა მადლობა უთხრათ.

— ვუთხრათ, ვუთხრათ, მადლობის ღირსია.

— ბატონი ემელიანე და სარევიზიო კომისიის დანარჩენი წევრები განაგრძობენ დასკვნებიან აბოპოქრიტულ კრებას.

წამოდგა ვილაც მასწავლებელი პირველი რიგში რომ იჯლდ სწორეთ. — სუ, სუ!.. გაისმა აქა იქ, — მოუხსინათ ანა რას იტყვის.

მხედველობა ჩემი მიგვაყარ მას. ის დინჯათ იღვა. ტან-კისერ ჩამსხვილებულს ფართო პირის სახე ფილოსოფოსისას უგავდა, ჯერ დარბაისლურის სიღინჯით გადახედა კრებას და შემდეგ დაიწყო.

— ბატონებო!.. ექვი არ არის, რომ სამშენებლო კომისიას ბვერი შრომა და ენერგია დაუხარჯავს. იგი სწორეთ მადლობის ღირსია. მადლობის ღირსია აგრეთვე სარევიზიო კომისიაც; როგორც სჩანს მასაც ბვერი უშრომია. ორივეს მადლობა გამოუცხადოთ...


— ბრავო, ბრავო!.. დიდებულათ სთქვა... ორივეს მადლობა, ორივეს, გაისმა ზალაში.

— ტყულათ კი არ მიუგავს ფილოსოფოსს სახე თქო, გავიფიქრე მეც გულში და მისი ვინაობა ვიციოხე დიდის მოკრძალებითა და ცნობის მოყვარეობით.

— სირცხვილი თქვენი, ვილაცა ხართ, — ნაწყენი მიპასუხა ვისაც შევეკითხე: ნუ თუ მაგას არ იცნობთ?.. მამულიზიფილთა თვალი და იმედი გახლავთ — ვარლამი არის, გვრათ ძიძიგურა. ნასწავლკაცს ჰგავხართ და მაგას არ იცნობთ? პუბლიცისტია და თან პოეტიკა, „წინაშე-ღრწივაც“ თანამშრომლობდა. საზოგადო მოღვაწე არის. ძალიან უყვარს დიდკაცებთან, ვანსაკუთრებით უფროსებთან ფიფნა, მხოლოდ მათთან შესვლა ეხერხება ცერებზე და ფეხ-კრეფით...

— მოიცათ, მოიცათ, — შევაჩერე ჩემი მოსაუბრე: ეგ ის ძიძიგური ხომ არ არის, რომელ-ზედაც ამას წინეთ „სამშობლოში“ სწერდა ვილაც ხონელი მასწავლებელი?

— სწორეთ, სწორეთ ის გახლავს... მერე რა კარგად უნასუხა?!. მართალია ავიღე ხუთი პროცენტი დაბმულთათვის დასარიგებლათ სასურსათო თანხიდან გამოტანილ ფულიდან, მაგრამ აღებული ფული სრულიათ დამშუვლთა საქმეზე დაიხარჯეთ; ზოგი მწერალს მიეცევი სახარჯოთ, ზოგი მამასახლისს, ზოგი ჩაფარს, ზოგი კიდევ ქუ-



სახალხო სასტიკი

ოთხშაბათს, 1 ივნისს 1916 წ.

თათურ და ხონელ მეეტლეებსა; ბოლოს რაღაც  
ორი გროში ვადარჩა და ის მე მომინდა სასტუმ-  
როსა და სხვა ხარჯებში, და ნუ თუ ეგ „არამათ“  
ჩამეთვლებათ. სწორეთ მშვენიერათ უპასუხა, მხო-  
ლოთ ცოტა შეცდომა მოუვიდა შეერთება-გამოკ-  
ლებაში, მაგრამ ეგ არაფერია, ცოდვით ვერ ჩაუთ-  
ვლით. ამის გარდა მათხოჯში მაგი პირველი კა-  
ცია. მაგი ხხვათა შორის, მათხოჯის მომხმარებელ-  
თა ამხანაგობის თავმჯდომარეა მართალია მათხოჯ-  
ში მაგი იშვიათათ არის, მაგრამ ამხანაგობას ჯერ  
ცაგერიდან თავმჯდომარეობდა, ახლა კი ხონიდან  
თავმჯდომარეობს.

— სწორეთ რომ იშვიათი კაცი ბრძანებულა,  
დავემოწმე მეც.

ამ დროს გაისმა თავმჯდომარის ხმა:

— ბატონებო! კრება დასრულებულია, კრე-  
ბას ვხურავ. მობრძანდით და აღბეჭდეთ თქვენ  
თქვენი სახელი და გვარები ოქმების წიგნში.

— მადლობა ღმერთს!.. გაისმა აქა-იქ.

— მადლობა ეშმაკს, რომ გადავჩინე ამ კრე-  
ბაზე ყოფნას, დაუმატე მეც და გამოვსწი.  
თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში  
აბი.

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქ-  
ნება პირველად ქართულ სცენაზე სახელ განთქმუ-  
ლი პიესა ბერნშტეინისა.

# უკრიის სიისხლი

აგენსას როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. დავი-  
თაშვილი. ტიბოს — ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კა-  
საში.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

## უმორჩილესად გთხოვთ!

უგულას, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს რომელიმე საზოგადო დაწესებულებასთან

# დაუყოვნებლივ გვასწოხოვნ დრო არჩევნებში,

რათა არ დაგვიკვიანდეს მოსვლა უუთის დასადგმელათ და განსაშეგებლათ.

პატივისცემით { სამსონ დადიანი.  
თედორე ღლონტი.



## გამოთხოვება

(თბილისის დეპო)

ის მიდის:

ხელქვეითები

ცხარე ცრემლს ჰღვრიან, ჰგოდებენ.

ღაბრუნდეს იგი

წამსვლელი

მეუფეს მოუწოდებენ.

— მამაო ჩვენო,

შენ გვედროთ

მწუხარე ცრემლთა დენითო,

ნუ მოგვაშორებ

მფარველსა

ობლათ ნუ შევიქნითო,

მოხედე ჩვენსა

გასაქირს,

ჩვენსა მუდარას თხოვნასო,

თუ ეს ბატონი

დავჯარგეთ

ახლის ვერ შევძლებთ ჰოვნასო.

უფალს არ ესმის

ლაღლი,

გამგე კი სტირის ყოფილი

მიდის და თვალი

აქ რჩება

სად მრავლად რჩება ძიობილი.

ჰკივიან

გორტქლმავლები

ვლოვის ზარს რეკენ გრძემლები

ის მიდის.

ობლათ დარჩენილთ

მდუღარე დასდით ცრემლები.